საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №44

ქ. ბათუმი 28 ივნისი, 2017 წ.

ბსუ-ს აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე და 33-ე მუხლების ბსუ-ს წესდების მე-8 და 55-ე მუხლების, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის თანდართული წესი **(დანართი 1).**
2. წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებული წესი განსახილველად და დასამტკიცებლად გადაეგზავნოს წარმომადგენლობით საბჭოს.
3. წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ ბსუ-ს აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შემთხვევაში, არაუგვიანეს 2017 წლის 15 ივლისისა, ფაკულტეტების დეკანების, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ ერთობლივად, განხილული იქნეს თითოეული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის არსებული რაოდენობა და განსაზღვრული იქნეს 2017-2018 სასწავლო წლიდან წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად აკადემიური პერსონალის საშტატო ერთეულების რაოდენობა კატეგორიების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი და ასისტენტი) მიხედვით.
4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**

დანართი 1.

ბსუ-ს აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს წესი ადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში „ბსუ“) აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას.

მუხლი 2. აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის ეტაპები

1. ბსუ-ში აკადემიური პერსონალის მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტის, აკადემიური პერსონალის სახელფასო სარგოსა და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში დაგეგმილი საერთო აკადემიური საათების რაოდენობის (არაუმეტეს 60 %) შესაბამისად;
2. ბსუ-ს აკადემიური პერსონალის მაქსიმალური საერთო რაოდენობის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური პერსონალის რაოდენობა განისაზღვრება სტუდენტთა რაოდენობის პროპორციულად, პროგრამის საჭიროებების გათვალისწინებით;
3. საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განსაზღვრული აკადემიური პერსონალის რაოდენობა გადანაწილდება დარგობრივ დეპარტამენტების მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, მოცემული დარგობრივი დეპარტამენტის მიერ შესრულებული აკადემიური საათების პროპორციულად.

მუხლი 3. აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი გადანაწილების წესი

1. ამ წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული აკადემიური პერსონალის მაქსიმალური რაოდენობა აკადემიური თანამდებობების მიხედით (ასისტენტი, ასისტენტ პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, პროფესორი) გადანაწილდება შესაბამისი მიმართულებით საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროების, სამეცნიერო-კვლევებისა და ბიუჯეტის გათვალისწინებით.
2. ამ წესის შესაბამისად ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით ფაკულტეტების საბჭოები განსაზღვრავენ და აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენენ აკადემიური თანამდებობების რაოდენობას კატეგორიების მიხედვით.